პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

11 აგვისტო, ხუთშაბათი, 1988 წ. № 155 (9822) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## 13 აგვისტოდან 17 სექტემბრამდე

**როგორც ვიუწყებოდით, სსრ კავშირის სპორტსახკომმა, საკავშირო პროფსაბჭომ, კომკავშირის საკავშირო ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის სახტელერადიომ, დოსააფის ცენტრალურმა კომიტეტმა და საკავშირო საზოგადოება „ცოდნამ“ მიიღეს დადგენილება „მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდის გაძლიერების შესახებ.“ დადგენილება ითვალისწინებს ჩატარდეს „ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდის ერთთვიური“, რომელიც დაიწყება შაბათს, 13 აგვისტოს, ფიზკულტურელის საკავშირო დღეს და დამთავრდება 17 სექტემბერს, სეულის ოლიმპიური თამაშების გახსნის დღეს.**

(ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით „ლელოს“ გუშინდელ ნომერში გამოცხადდა კონკურსი და რეკომენდაციები).

„ჯანსაღი ცხოვრების ერთთვიურის ჩატარებასთან დაკავშირებით“ გუშინ რედაქციამ მიიღო ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტმასობრივი ღონისძიებების გეგმები საქართველოს სპორტსახკომიდან, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოდან, თბილისის, ტყიბულის, სამტრედიის სპორტული ორგანიზაციებიდან...

გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებებს ადგილებზე დაესწრებიან „ლელოს“ კორესპონდენტები. ერთთვიურის მიმდინარეობა ფართოდ გაშუქდება.

მაშ ასე, შაბათს 13 აგვისტოს, ფიზკულტურელის დღეს იწყება ახალი საყოველთაო-სახალხო ლაშქრობა ჯანმრთელობისათვის.

## ტრადიციას აგრძელებენ

ამ დღეებში საქართველოს სპორტსახკომში მიიწვიეს თავისუფალ ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონები ჭაბუკთა შორის კახა ლევიძე, ზაზა ზოზიროვი და დათო ხაბელაშვილი. კომიტეტის ხელმძღვანელობამ ნორჩ ფალავნებს მიულოცა წარმატება, გამოითქვა რწმენა, რომ ეს ჭაბუკები ღირსეულად გააგრძელებენ უფროსი თაობის ტრადიციებს, ახალი წარმატებებით გაამდიდრებენ ჩვენი სპორტის მატიანეს.

### ელვა-ინფორმაცია

**სეული. აქ დამთავრდა სსრ კავშირისა და სამხრეთ კორეის ტანმოვარჯიშეთა ამხანაგური შეხვედრა. თავისუფალ ვარჯიშში საუკეთესო იყო საბჭოთა ოლიმპიური ნაკრების გუნდის წევრი, თბილისელი ვლადიმერ გოგოლაძე. სპეციალისტებმა გოგოლაძე სამმაგი მალაყის მხოფლიოში საუკეთესო შემსრულებლად აღიარეს.**

## დღემეხვალიეე მშენებლები

სასკოლო ზარის აწკრიალებამდე ბევრი დრო აღარ დარჩა. შეგვიძლია გულდამშვიდებულებმა, განაღდებულად ჩავთვალოთ ყველაფერი, რაც დაგეგმილი იყო პირველი სექტემბრისათვის? ამ საფიქრალით მივადექით თბილისის 185-ე საშუალო სკოლას, სადაც სასკოლო სპორტული ობიექტების მშენებლობა ახალი სასწავლო წლისათვის უნდა დამთავრებულიყო.

ეს სკოლა ჯერ კიდევ შარშან ჩადგა მწყობრში, მაგრამ ხარვეზებით აშენებული სპორტული დარბაზი და საცურაო აუზი სკოლის ხელმძღვანელობამ და რაიონის განათლების განყოფილებამ მშენებლებისაგან არ ჩაიბარა.

დაიდო პირობა: შემდეგი ახალი სასწავლო წლისთვის მშენებლები, კერძოდ აგრომშენის 44-ე მოძრავი-მექანიზებული კოლონის წარმომადგენლები უთუოდ გამოასწორებდნენ სპორტული დარბაზისა და საცურაო აუზის დეფექტებს. დარბაზი შეკეთდა, მაგრამ საცურაო აუზი?

...ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე რაღა დარჩა. ამ ობიექტზე კი ბოლო ხანებში მშენებელი და დამკვეთი ორგანიზაციის არც ერთი წარმომადგენელი არ გამოჩენილა. დარაჯმა გვითხრა: მთელი წლის განმავლობაში სანტექნიკოსი მოდიოდა ხოლმე და რაღაცეებს აკეთებდა აუზში. მაგრამ, რაც სკოლაში არდადეგები დაიწყო, მას შემდეგ არავინ გამოჩენილა. ეს მილები ერთ თვეზე მეტია აქ ყრია; წყალსადენისათვის მოზიდეს, აი, ხრეშიც მოიტანეს ორი მანქანა. ეს არის და ესო.

ვფიქრობთ, სწორი არჩევანით 26 კომისრის სახელობის განათლების განყოფილებას მივადექით და მის გამგეს არჩილ ლამბაშიძეს გავესაუბრეთ.

— 185-ე საშუალო სკოლა შარშან აშენდა და მიმღებმა კომისიამ ჩაიბარა მხოლოდ მისი სასწავლო კორპუსი. კომისიამ არ მიიღო მეორე კორპუსი, სადაც გათვალისწინებული იყო სასადილო, სპორტული დარბაზი და საცურაო აუზი. ახლა პირობა გვაქვს მიღებული აგრომშენის 44-ე მოძრავ-მექანიზებული კოლონის მუშაკებისგან, რომ პირველი სექტემბრიდან აუზიც შეუდგება მუშაობას (!) — გვითხრა მან.

კი მაგრამ, [illegible] პირველ სექტემბერს [illegible] რას ფიქრობენ მშენებლები?

[illegible]

## შენდება დიდ დიღომში

ეს სკოლა, რომლის მშენებლობაზე ახლა ასე თავგამოდებით მუშაობს რამდენიმე სპეციალიზებული ბრიგადა, რიგით მეორე იქნება დიდი დიღომის ახალ დასახლებაში. ნაგებობა 1252 მოსწავლეზეა გათვალისწინებული. სკოლას ცალკე უშენდება თანამედროვე სპორტული დარბაზი, საცურაო აუზი და ღია კომპლექსური სპორტული მოედანი. № 5 სახლმშენებელი კომბინატის კოლექტივი ახალ სკოლის მშენებლობას სულ მალე, ამ თვის მესამე დეკადაში დაასრულებს.

### ვუბრუნდებით დაბეჭდილს

# „ფესტივალის ცრემლიანი ფინიში“

ამ სათაურით „ლელოს“ გუშინდელ ნომერში გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი ჭაბუკთა შორის მინიკალათბურთში საკავშირო ფესტივალის ფინალური ასპარეზობის დროს გამოვლენილი სამარცხვინო და სერიოზული დარღვევების შესახებ.

„ლელოს“ კრიტიკულ გამოსვლასთან დაკავშირებით, გუშინ რესპუბლიკის სპორტსახკომში გაიმართა საგანგებო ოპერატიული თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ რესპუბლიკის სახალხო განათლების, სპორტსაზოგადოება „დინამოს“, სპორტსახკომის სპორტული თამაშების განყოფილების, თბილისის 58-ე საკალათბურთო სკოლის წარმომადგენლები, აგრეთვე „მართვეს“ და „ნორჩი დინამოელის“ კალათბურთელთა გუნდების მწვრთნელები.

აი, რა გვაცნობა საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილემ ჯ. ბაგრატიონმა:

„დამტკიცდა, რომ მთელი რიგი სერიოზული დარღვევებია დაშვებული ბავშვთა გუნდებში სასწავლო-სპორტულ მუშაობაში, ჩავარდნებია აღმზრდელობით პროცესში, უკიდურესად დაბალია მწვრთნელთა შემადგენლობის დისციპლინის დონე, გარკვეულია აგრეთვე ის მიზეზები, რაც მწვრთნელებს ხელს უშლის აქტიურად აღუდგნენ წინ მშობელთა ზეგავლენას, მათ არაკომპეტენტურ ჩარევას გუნდების საქმეებში. დადგენილია როლი და განსაზღვრულია თითოეული ქვეგანაყოფის ბრალი მინიკალათბურთში საკავშირო ფესტივალის ხარვეზებით ჩატარებაში.

დადასტურებულია თამაშებში გადაზრდილი კალათბურთელების მონაწილეობა. საქმის რეალური ვითარების გამოსარკვევად გადაწყდა კომპლექსურად შეისწავლონ 58-ე საკალათბურთო სკოლისა და „ნორჩი დინამოელის“ სპორტსკოლების საქმიანობა. შემოწმების შედეგების მიხედვით საკითხს განიხილავს შესაბამისი ზემდგომი ორგანიზაციების ხელმძღვანელობა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე „მართვეს“ მწვრთნელი ზ. სამხარაძე ჩამოშორებულია გუნდთან მუშაობას.

საბოლოო შედეგებზე დამატებით გაცნობებთ“.

**გუშინვე** მივიღეთ საქართველოს სპორტსახკომის ბრძანება (№ 299, 10 აგვისტო, 1988 წელი). მასში აღნიშნულია, რომ მინიკალათბურთში საკავშირო ფესტივალის ჩატარებისას დაშვებული არასაკმარისი კონტროლისთვის სპორტსახკომის მთავარ მწვრთნელს რ. ხომერიკს მიეთითა. რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტროს წინაშე დაისვა საკითხი „ლელოს“ კრიტიკულ გამოსვლაში მოტანილ ფაქტებთან დაკავშირებით 58-ე საკალათბურთო სკოლის კომპლექსური შემოწმებისა და მომხდარ ფაქტებში დამნაშავე პირთა პერსონალური პასუხისმგებლობის შესახებ. „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო შეისწავლის ბავშვთა საკალათბურთო სკოლაში სასწავლო-სპორტული და აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობას. შემოწმების შედეგები უნდა წარადგინონ საქართველოს სპორტსახკომში მიმდინარე წლის სექტემბერში.

იმისთვის, რომ „ლელოს“ 10 აგვისტოს ნომრის კრიტიკულ პუბლიკაციაში მოყვანილი ფაქტების მსგავსი შემთხვევები შემდგომში არ განმეორდეს, წერილი „ფესტივალის ცრემლიანი ფინიში“, როგორც ამავე ბრძანებაშია მითითებული, უნდა განიხილონ სპორტსახკომის, პროფკავშირების, სახალხო განათლებისა და „დინამოს“ სისტემის ყველა სპორტულ სკოლაში.



## ყველა ადგილი

**თბილისის** ს. მ. კიროვის სახელობის პარკში მდებარე ბავშვთა კალათბურთის სასახლეში დამთავრდა საკავშირო ფესტივალი მინიკალათბურთში. კომპლექსური პროგრამის თანახმად, ნორჩ კალათბურთელებს აფასებდნენ თვით თამაშში, საერთო ფიზიკურ მომზადებაში, კალათბურთის ტექნიკური ელემენტების შესრულებაში, ცურვაში, ცეკვასა და სიმღერაში, კაპიტნებისა და მსაჯების კონკურსში. ამ მაჩვენებლების მიხედვით პირველი ადგილი დაიკავეს ვილნიუსის ნორჩმა სპორტსმენებმა — 25,75 საჯარიმო ქულა (პირველი ადგილი კალათბურთში, მესამე — საერთო ფიზიკურ მომზადებაში, მეოთხე — ტექნიკაში, დანარჩენ სახეობებშიც ცუდად არ გამოსულან).

მეორე ადგილი წილად ხვდა თბილისის „მართვეს“ — 26,55 ქულა (პირველი ადგილი საერთო ფიზიკურ მომზადებაში, მეორე — კალათბურთში, მეორე-მესამე — კაპიტნების კონკურსში, მესამე — მსაჯების კონკურსში და მერვე — ტექნიკაში). მესამე ადგილზე გავიდნენ უზბეკეთის წარმომადგენლები (36,0 ქულა), რომლებმაც კალათბურთში X ადგილი დაიკავეს, მაგრამ სხვა სახეობებში იმარჯვეს.

მომდევნო ადგილები ასე განაწილდა: რსფსრ-II (ქ. სევეროდვინსკი) — 36,25, „ნორჩი დინამოელი“ (თბილისი) — 40,75, ბელორუსია — 45,25, მოსკოვი — 57,75, რსფსრ-III (სამხრეთ სახალინი) — 69,5, რსფსრ-I (მოსკოვის ოლქი) — 69,75, ლენინგრადი — 70,25, ლატვია (ლიეპაია) — 72,25, უკრაინა (ბენდერი) — 74,0; ესტონეთი — 86,0; ყაზახეთი — 96,5.

**სურათზე:** ფესტივალში გამარჯვებული ლიტვის გუნდი.
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

## ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული თამაშების სარბიელზე გასვლის წინ

ჭაბუკთა II საკავშირო სპორტულმა თამაშებმა, რომ იტყვიან, ეკვატორი გაიარა. ახლა, ორიოდე კვირის შესვენების შემდეგ, ახალი ძალით გაჩაღდება ბრძოლა თამაშების მედლებისათვის. შეჯიბრების მეორე ნახევარს სამბისტები გახსნიან. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბოლო საწვრთნელ შეკრებებს და საკონტროლო ბრძოლებს, რომლებიც ჩვენი გუნდის წევრებმა თბილისში, ფალავანთა კლუბში ჩაატარეს. უკვე საბოლოოდ გაირკვა ნაკრების სახე და ახლა შეჯიბრებას უნდა დაველოდოთ.

ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ალექსანდრე კოტორაშვილმა ფირზე აღბეჭდა ფალავანთა კლუბში საქართველოს ჭაბუკ სამბისტთა ნაკრების ერთ-ერთი ვარჯიშის მომენტები.







### ტელეტაიპი - მკითხველი

**რიგა.** აქ დაწყებულმა ფრენბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირმა მსოფლიოს თითქმის ყველა უძლიერეს გუნდს მოუყარა თავი, საინტერესოა აღინიშნოს, რომ შეჯიბრების რვა მონაწილიდან ხუთი სეულის ოლიმპიადაზე იასპარეზებს. პირველი დღის შეხვედრები ასე დამთავრდა: აშშ — ჩეხოსლოვაკია 3:0, იაპონია — იტალია 3:0, კუბა — საფრანგეთი 3:2, სსრ კავშირი — ბულგარეთი 3:0.

**ალმა-ათა.** წყალში მხტომელთა საკავშირო ჩემპიონატში სამმეტრიანი ტრამპლინიდან ასპარეზობაში ოქროს მედალი ირინა ლაშკომ (სვერდლოვსკი) მოიპოვა — 499,41 ქულა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ მოსკოველი მარინა ბაბკოვა (476,19) და სარატოველი ლიუბოვ ბოროდულინა (473,37).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირისა და გდრ-ის ნორჩ მოცურავეთა სამატჩო შეხვედრა

# მეორე ადგილი, რომელმაც გუნდი დამარცხებას გადაარჩინა

**მრავალი** წელია, რაც საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნორჩ მოცურავეთა სამატჩო შეხვედრებში ჩვენი ქვეყნის ნაკრებმა პოზიციები დათმო. გერმანელი მოცურავეები ჩვენზე დიდი უპირატესობით იმარჯვებენ.



გია ბახტაძე

წლევანდელ შეჯიბრებაში, რომელიც ამას წინათ კიშინიოვში გაიმართა, 1971 წელს დაბადებული სპორტსმენები მონაწილეობდნენ. პროგრამის უკანასკნელი სახეობის — 400 მეტრზე ბიჭების კომპლექსური გაცურვის წინ ისეთი „სატურნირო მდგომარეობა“ შეიქმნა, რომ ჩვენი სპორტსმენები პირველ-მეორე ადგილებზე გასვლის შემთხვევაში გუნდურ პირველობაში კიდევ ერთ დამარცხებას გადაურჩებოდნენ.

ამიტომ გასაგები იყო საბჭოთა გუნდის ხელმძღვანელთა მღელვარება. ისინი თავიანთ აღსაზრდელებს მოუწოდებდნენ, რადაც უნდა დასჯდომოდათ, პირველი ორი ადგილი მოეპოვებინათ.

იმ ოთხ საბჭოთა მოცურავეს შორის, რომლებიც სტარტზე უნდა გამოსულიყვნენ, თბილისელი გია ბახტაძეც („დინამო“) იყო, მაგრამ მისი იმედი ალარავის ჰქონდა. — თბილისელი მოცურავე შეჯიბრების მსვლელობისას სამი დღის განმავლობაში შეუძლოდ იყო და სიცხე ჰქონდა. მიუხედავად ამისა, მან მაინც გადაწყვიტა ბედი ეცადა და შეჯიბრებაშიც ჩაება.

ოთხი საბჭოთა და ამდენივე გერმანელი სპორტსმენი გამარჯვებისთვის თავდაუზოგავად იბრძოდა. დისტანციის ნახევრის შემდეგ წინ ლენინგრადელი იგორ ფიოდოროვი იყო. მას კვალში სამი გერმანელი მიჰყვებოდა. მერე თბილისელმა მოსწავლემ თანდათან ტემპს უმატა და ფიოდოროვის შემდეგ (4.45,78) ფინიშთან მეორე იყო (4.48,63).

საბჭოთა გუნდის ხელმძღვანელობას ფიოდოროვისა და სხვათა გამარჯვება ისე არ გახარებია, როგორც გია ბახტაძის მეორე ადგილი.



თემურ გუგუბერიძე

გასაგებიც იყო: მან ხომ საბჭოთა გუნდი კიდევ ერთ დამარცხებას გადაარჩინა და ეს სამატჩო შეხვედრა ფრედ (191-191 ქულა) დამთავრდა.

ამიტომაც იყო, რომ ბახტაძე სპეციალური პრიზითა და გამორჩეული საჩუქრითაც დააჯილდოვეს.

ამ შეჯიბრებაში, ძალას ცდიდა კიდევ ერთი ჩვენი მოცურავე, სოხუმელი თემურ გუგუბერიძე („დინამო“), რომელიც რამდენიმე წელია თბილისში ვარჯიშობს და აქვე, 25-ე საშუალო სკოლაში სწავლობს. მან ამ შეჯიბრებაში მეორე ადგილები დაიკავა 100 და 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში (შესაბამისად — 1.02,25 და 2.14,24), ხოლო 4X200 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში პირველი ადგილი დაიმსახურა.

ორივე სპორტსმენს ზაქარეიშვილი ამეცადინებს.

იმედია, მისი აღსაზრდელები მომავალში უფრო დიდი წარმატებებით გაგვახარებენ.

ლახტის [tennis pictogram] წრეში

# სკოლას — არდადეგები, კორტებს?..

**დაიჯერებთ,** რომ თბილისში, ქალაქის ცენტრში, იქ, სადაც ყოველდღიურად უამრავი ხალხი იყრის თავს, სპორტული ობიექტი შეიძლება გამოკეტილი იყოს? შეიძლება, როგორ არ შეიძლებაო, იტყვით თქვენ, ოღონდ, არაფრად უნდა ჩააგდოთ ადამიანების ინტერესები, მათ შორის არდადეგებზე ქალაქში დარჩენილი ბავშვებისა. ან ისეთი პოზა უნდა მიიღო, თითქოს სპორტული ინვენტარის გაქირავება, მოსახლეობის ფასიანი მომსახურება შენ არ გეხება, თითქოს... საჭიროების შემთხვევაში კი თავდასაცავად /არგუმენტი ჩინებული შეიძლება დაასახელო — არდადეგები!

რა შუაშია არდადეგები? სწორედ ამით ამართლებენ, რომ სახალხო განათლების თბილისის სამმართველოს ჩოგბურთის სპორტული სკოლის კორტები კიროვის სახელობის პარკში დღეს გამოკეტილია. ასე იყო გუშინ, გუშინწინ, ასე იქნება ხვალ და ზეგ — პირველ სექტემბრამდე.

კი მაგრამ, რატომ? სპორტულ ბაზას მოსწავლეთა არდადეგები რატომ უნდა ეხებოდეს? ამ ორთვე-ნახევარში ვინ იცის, რამდენ ჩოგბურთის მოყვარულს მოემსახურებოდა იგი, კორტებით ხომ განებივრებულები არა ვართ.

ვგრძნობთ, თავს იმართლებენ, ჩვენთან ფასიანი მომსახურება არ არისო. ძალიან ცუდია, თუ არ არის. ვინმემ აკრძალა, მოვინდომეთ და არაფერი გამოგვივიდა? მაშინ გვითხარით, რომელ ბიუროკრატთან გვაქვს საქმე.

ხალხს ჩოგბურთის თამაში ენატრება, კორტები კი ცდება, ცდება ქალაქის ცენტრში, იქ, სადაც მასობრივი თაშეყრისა და დასვენების ადგილია.

სად აღიმართა ბარიერი ჩოგბურთის მოყვარულთა და კორტებს შორის?





ვუბრუნდებით დაბეჭდილს

# „იქნებ მთაწმინდაზეც“...

თქვენი გაზეთის მიმდინარე წლის 11 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი სათაურით „იქნებ მთაწმინდაზეც“... გაცნობებთ, რომ ი. ბ. სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის ტერიტორიაზე არსებულ სპორტულ მოედანზე მიმდინარეობს კეთილმოწყობის სამუშაოები. უმოკლეს დროში დავნიშნავთ ფიზკულტურის მეთოდისტს.

დაისახა ღონისძიებათა გეგმა, რომელიც ითვალისწინებს პარკში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესებას.

საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც მოიცავს 1988-1990 წლების პერიოდს, გათვალისწინებულია პარკის კეთილმოწყობა და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. დიდი ადგილი დაეთმობა სპორტული დანიშნულების სხვადასხვა ობიექტების მშენებლობას.

პარკის ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაზე დაწესებულია კონტროლი.

**ო. ბერძენიშვილი,**
სახალხო დეპუტატთა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კულტურის სამმართველოს უფროსი.

# „ფიზკულტურა ი სპორტი“ გამოსცემს...

გთავაზობთ გამომცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტის“ რედაქციის გამგის **ალექსანდრე შილერის** საუბარს:

— როგორც ყოველთვის, ჩვენი გამომცემლობის მომავალი წლის თემატურ გეგმაში დიდი ადგილი უკავია მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისადმი მიძღვნილ წიგნებს. აქ არის ფართოდ ცნობილი სერიები „ფიზკულტურა და ჯანმრთელობა“, „მეცნიერება—ჯანმრთელობას“, „ადამიანი და ბუნება“, „ტურიზმი ყველასათვის“ და სხვა. გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი პუბლიცისტურ, პროპაგანდისტულ, დოკუმენტურ-მხატვრულ გამოცემებს — ტრადიციულ კრებულებს „ოლიმპიური გლობუსი“, „სპორტული წლის პანორამა“, „ესტაფეტა“. მკითხველი უდავოდ ინტერესით შეხვდება ახალ კრებულს „ცხოვრების გაკვეთილი“, რომლის ავტორებია შესანიშნავი საბჭოთა სპორტსმენები ლევ იაშინი, ანატოლი ფირსოვი, იური ვლასოვი, ირინა როდნინა, მიხაილ ტალი. ტურისტული სიმღერების კრებულში თავმოყრილია ვლადიმერ ვისოცკის, ბულატ ოკუჯავას, იური ვიზბორის, ლარისა დოლინას, ალექსანდრ როზენბაუმის და სხვათა სიმღერები, აქვეა დასტამბული ნოტები და აკორდები გიტარისათვის. ალბათ, სიამოვნებით წაიკითხავს მკითხველი მწერალ იური ტრიფონოვის სპორტულ მოთხრობებს და ინგლისელი მწერლის ბ. გლენვილის კრებულს „ოლიმპიელი“, რომელშიც შესულია მისი მოთხრობები — „ფეხბურთელის სიკვდილი“, „შეჰკმეს?“, „ფენომენი“ და სხვა. ვფიქრობთ, ყურადღებას იმსახურებს ალბომი „ოლიმპიური წელი-88“. ცხადია, არც ყველაზე პოპულარული სპორტის სახეობა — ფეხბურთია დავიწყებული: მას ხუთი წიგნი მივუძღვენით — დევი არკადიევის „ბელანოვი, ზავაროვი, რაცი, იარემჩუკი“, ალექსანდრ გორბუნოვის ფოტოალბომი „ოქროს ბურთის“ ლაურეატები“ (ლევ იაშინზე, ოლეგ ბლოხინზე, იგორ ბელანოვზე), ვალერი ლობანოვსკის „ფეხბურთის ერთიანობა და მრავალსახეობა“, ალმანახი „ფეხბურთი“ და სხვა. ეს წიგნები, როგორც ზემოთ ითქვა, მომავალი წლის განმავლობაში გამოვა. პირველად ჩვენს პრაქტიკაში ყველა გამოსულ წიგნს ექნება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი (ლათინური ასოებითა და ციფრებით მონიშნული) ნომერი — ინდექსი.

**ოთარ ოთარაშვილი.**

როგორ ვისვენებთ?

# სარბიელზე არიან საწარმოთა ბრიგადები

**„ხარისთვალას“** მიდამოები დიდი ხანია (?) შემოგარენი ქუთაისელთა აქტიური დასვენებისა და სხეულის წრთობის ერთ-ერთი საყვარელი ადგილია. აქ ტრადიციისამებრ შეკრიბნენ საწარმოო-დაწესებულებების, ფაბრიკა-ქარხნების, შრომითი ბრიგადების წარმომადგენლები. ჯანმრთელობის ზეიმის მონაწილეები ფეხით მოვიდნენ შეჯიბრების ადგილზე. ეს ერთგვარი მოშელვა იყო საინტერესო შეჯიბრების წინ, რომელიც პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ქუთაისის საქალაქო საბჭომ ჩაატარა. პროგრამაში შედიოდა: კროსი წინაღობათა ზოლის გადალახვით (მდინარე, ჭაობიანი ადგილი), ტურისტული კარვის გაშლა, წყლის ადუღება, ხემბარის ტყორცნა მიზანში, ადგილიდან სიგრძეზე ხტომა, ბაგირის გადაძალვა ბრიგადებს შორის და სხვა.

— ასეთი ღონისძიება ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის საუკეთესო საშუალებაა, — ამბობს ადგილმრეწველობის საწარმოო გაერთიანების მოწინავე მუშა-მქსოველი, საქალაქო საბჭოს დეპუტატი, სსრკ სპორტის ოსტატობის კანდიდატი მაგიდის ჩოგბურთში ე. ბაბაიანი, — საჭიროა, რომ იგი, მუშათა აქტიური დასვენების მიზნით, ხშირად ჩატარდეს ბუნების წიაღში შრომით ბრიგადებს შორის.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა 18 შრომითი ბრიგადა. პირველი ადგილი დამსახურებულად დაიკავა აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების შრომითი ბრიგადის გუნდმა (ფაბრიკის გენერალური დირექტორი ზ. მელქაძე, ფიზკულტურის ინსტრუქტორი რ. ხურციძე), მეორე საპრიზო ადგილზეა საავტომობილო ქარხნის მუშათა ბრიგადის გუნდი (ფიზკულტურის საბჭოს თავმჯდომარე რ. ჭეიშვილი, უფროსი მეთოდისტი — ო. ასათიანი). მესამე ადგილი წილად ხვდა ადგილმრეწველობის საწარმოო გაერთიანებას (ფიზკულტურის საბჭოს თავმჯდომარე ნ. მუმლაძე, ფიზკულტურის ინსტრუქტორი პ. ტყეშელაშვილი).

შეკრება-შეჯიბრების მონაწილეებმა წინა წლებთან შედარებით კარგი სპორტული მომზადება გამოავლინეს, რაც მუშა ბრიგადების წევრების ფიზკულტურასა და სპორტში აქტიურობაზე მეტყველებს. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ აბრეშუმის საწარმოოს მქსოველი მუშა მ. სიყმაშვილი, მ. ხოშტარია, ავტოქარხნის აგრეგატული საამქროს მუშა მ. ჯაფარიძე, მღებავი ი. კალაძე, ადგილმრეწველობის საწარმოო გაერთიანების მუშა დ. სამხარაძე, ნ. გამყრელიძე, გ. ქართველიშვილი, გ. ახვლედიანი, თ. ჩხეიძე, გ. ქურციკიძე და სხვები.



სამწუხაროდ, ამგვარ ღონისძიებას მეორედ აარიდეს თავი საკონსერვო ქარხნის, საკონდიტრო ფაბრიკის, მინის ტარის, ვაჭრობის პროფკავშირების, კულტურისა და მედიცინის მუშაკთა პროფკავშირების, ლუდისა და რძის ქარხნების, ხორცკომბინატის კოლექტივებმა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ ფიზკულტურის კოლექტივების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები ჯერ კიდევ არ გრძნობენ სრულ პასუხისმგებლობას ახალგაზრდობის ფიზიკური წრთობისათვის, პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა შესასრულებლად.

დრო მოითხოვს, კოლექტივის ხელმძღვანელობამ სათანადო დასკვნები გააკეთოს.

**ჯოკია კვიციანი,**
პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ქუთაისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

**სურათზე:** ახპარეზობენ ტურისტები.

# საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

## უმაღლესი ლიგა

**9 აგვისტოს** გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მე-18 ტურის მატჩები. ჩვენ გაზეთში არ გამოგვიქვეყნებია ტურის მხოლოდ ერთი მატჩის შედეგი: „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „დინამო“ (მოსკოვი) 1:1.

ახლა თბილისის „დინამოს“ მიერ დონეცკში გამართული მატჩის შესახებ.

**„შახტიორი“ (დონეცკი) — „დინამო“ (თბილისი) 3:1 (0:1)**

**დონეცკი. „შახტიორის“ ცენტრალური სტადიონი. 9 აგვისტო.**

**„შახტიორი“: ზოლოტნიცკი, დრაგუნოვი, სოპკო (კობოზევი), გოშკოდერია, ლეონოვი (ევსეევი), ოლეფირენკო, იაშჩენკო, სვისტუნი, პეტროვი, სმოლიანინოვი, გრაჩოვი.**

**„დინამო“: გაბელია, კეტაშვილი, ცვეიბა, ჩედია, არზიანი, რევიშვილი, ხვანაძე, სულაქველიძე, ცაავა (ქეცბაია), გურული, გოგიჩაიშვილი.**

**მსაჯი ა. კირილოვი (მოსკოვი).**

**გააფრთხილეს გოგიჩაიშვილი.**

**დუბლიორები — 1:1. დინამოელთაგან ბურთი გაიტანა თედეევმა.**

საკავშირო ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში გუნდებს ადგილები განეკუთვნებათ დაგროვებული ქულების მიხედვით. ეს საერთო წესია. მაგრამ, როცა ვლაპარაკობთ ამა თუ იმ გუნდის სამომავლო შესაძლებლობებსა და პერსპექტივებზე, მხედველობაში ვღებულობთ არა დაგროვილ, არამედ, პირიქით, დაკარგულ ქულებს, ე. წ. პასივს. ამ თვალსაზრისით დონეცკის „შახტიორისა“ და თბილისის „დინამოს“ 9 აგვისტოს მატჩის წინ ასეთი მდგომარეობა იყო: ყველაზე მეტი ქულა დაკარგული ჰქონდა ალმა-ათის „კაირატს“ — 27 და შესაბამისად ამისა ერთპიროვნული აუტსაიდერის პოზიციაც მას ეკავა. 23 ქულა დაკარგა ბაქოს „ნეფთჩიმ“, რომელიც „კაირატზე“ მხოლოდ ერთი ადგილით წინ იმყოფებოდა. შემდეგ: 22 ქულის დანაკარგი ჰქონდა მოსკოვის „დინამოს“, 21 — ხარკოვის „მეტალისტს“, 20 — თბილისის „დინამოს“ და 19-19 მინსკის „დინამოსა“ და დონეცკის „შახტიორს“.

ამრიგად, ამ უარყოფითი მაჩვენებლით დონეცკელები ერთი ქულით ჯობდნენ თბილისის „დინამოს“, ამიტომაც აუტსაიდერთა ამ მატჩს ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თბილისელებს რომ დონეცკში გაემარჯვათ, მათ კვლავ მინუს 20 დარჩებოდათ, ხოლო „შახტიორს“ მინუს 21 ექნებოდა, ე. ი. ეს ის მატჩი იყო, როცა ორივე გუნდი კონკრეტული, უპირველესი ამოცანის წინაშე იმყოფებოდა: მხოლოდ გამარჯვება. იყო, რა თქმა უნდა, მეორე ვარიანტიც, ასევე დამაკმაყოფილებელი თბილისელთათვის — ფრე და მაშინ ზემოხსენებული მინუსიანი მაჩვენებლით შენარჩუნებული იქნებოდა სტატუსკვო, მეტოქეები თითო ქულას ჩაიწერდნენ და რამდენადმე მაინც დასცილდებოდნენ უმაღლესი ლიგის ბოლო ორ ადგილს, რომელიც საგაისოდ I ლიგაში გადანაცვლებას ნიშნავს.

ისიც ყველამ კარგად ვიცოდით, რომ „შახტიორმა“ უკეთ ჩაატარა ბოლო შეხვედრები და 6 შესაძლებლიდან 5 ქულა აიღო, ხოლო თბილისელებმა ზედიზედ გაიმარჯვეს მეორე წრის პირველ ორ სასტარტო მატჩში.

ყველაფერი ეს განაპირობებდა ამ მატჩის უდიდეს დაძაბულობას, მის მნიშვნელობას.

დინამოელებმა დიდი მონდომებით, მეტოქეზე უკეთ ჩაატარეს პირველი ტაიმი. დონეცკში, „დინამოს“ საერთოდ უჭირს თამაში, მაგრამ ამ მატჩში ჩვენმა გუნდმა პირველი 45 წუთის მანძილზე შეძლო დონეცკელთა იერიშების უვნებელყოფა, მცველებმა კარგად გაართვეს თავი მეტოქის შეტევებს, თავდამსხმელები კი ყოველ შესაძლებელ შემთხვევას კარგად იყენებდნენ კონტრიერიშებისთვის.

ასეთ საიმედო თამაშში მიმდინარეობდა 34-ე წუთი, გოგიჩაიშვილი სწრაფად გავიდა გარღვევაზე, საჯარიმო მოედანზე მას უხეშად ეთამაშა ლეონოვი და მსაჯმა ა. კირილოვმაც დაუყოვნებლივ დანიშნა 11-მეტრიანი. გურულმა ზუსტად, ძლიერად დაარტყა — 1:0.

არა მარტო ანგარიში, არამედ თვით თამაშის მსვლელობა ცხადყოფდა თბილისელთა კარგ ფორმას ამ მატჩში, ისინი ენერგიულად იბრძოდნენ თუ გამარჯვებისთვის არა, ერთი ქულისთვის მაინც.

მაგრამ დაიწყო მეორე ტაიმი, ბრძოლა მაშინვე უკიდურესად გამძაფრდა და ცხადი შეიქნა, რომ თბილისელები ფიზიკური მომზადებით ჯერ კიდევ მაინც მზად არ არიან ამგვარ ურთულეს მატჩებში წარმატების მისაღწევად. დიდ დატვირთვებს მათ ვერ გაუძლეს. დონეცკელმა ფეხბურთელებმა პირველივე წუთებიდან მძაფრი იერიშები მიიტანეს გაბელიას კარზე, შეტევა შეტევას მოსდევდა, სტუმრებს სულ უფრო და უფრო უჭირდათ გრაჩოვის, გოშკოდერიას, სმოლიანინოვის, პეტროვისა და სხვათა შემტევი თამაშის ნეიტრალიზება. ბურთი სულ უფრო იშვიათად გადადიოდა „შახტიორის“ ნახევარზე, დინამოელებმა ვერ შეძლეს აქტიური კონტრთამაშის შექმნა. ისინი მხოლოდ თავს იცავდნენ, მარტოოდენ დაცვითი თამაშით კი მათ ძალზე გაუჭირდათ ბრძოლა.

მიმდინარეობდა 67-ე წუთი და მსაჯმა კვლავ დანიშნა 11-მეტრიანი, ამჯერად დინამოელთა კარში. პეტროვმა გაათანაბრა ანგარიში, მცირე ხანს შემდეგ კი თბილისელთა საჯარიმო მოედანზე უკიდურესად მწვავე სიტუაცია შეიქმნა, რომელიც იმავე პეტროვის მიერ გატანილი მეორე გოლით დამთავრდა — 2:1.

მხოლოდ მაშინ, როცა „შახტიორის“ ფეხბურთელებმა თავიანთ სასარგებლოდ შეატრიალეს მატჩის მსვლელობა, „დინამომ“ სცადა კონტრთამაშის შექმნა, ამის გაკეთება კი გაცილებით უფრო ადრე იყო საჭირო, კერძოდ, მეორე ტაიმის დასაწყისიდანვე. მასპინძელთა კართან ზედიზედ შეიქმნა სახიფათო მომენტი, გურულმა [illegible] მოახვედრა გოგიჩაიშვილისაგან მიღებული ბურთი, შემდეგ კარში დაარტყა შემცვლელად გამოსულმა ფანცულაიამ, [illegible] [illegible] შები გაგრძელდა და 85-ე წუთზე მატჩის კულმინაციური მომენტი დადგა: [illegible] გურული [illegible] იგი ხელით დაიჭირა და არბიტრმა, უკვე მესამედ ამ მატჩში, კვლავ 11-მეტრიანზე მიუთითა.

თამაშის დამთავრებას 5 წუთი აკლდა, „დინამოს“ საშუალება მიეცა გაეთანაბრებინა ანგარიში და თავი ეხსნა დამარცხებისაგან. ეს იყო მატჩის ხსნის საუკეთესო შესაძლებლობა, გუნდმაც დარტყმა გამოცდილ პენალტისტს გურულს მიანდო. ყველაფერი აქ შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ გურულს ნერვებმა უმტყუნა, ვერ შეძლო 11-მეტრიანის გამოყენება (ზოლოტნიცკიმ მოიგერია ბურთი), ხოლო ორიოდე წუთის შემდეგ, როცა სვისტუნმა კიდევ ერთი გოლი გაიტანა „დინამოს“ კარში, მატჩის ბედიც საბოლოოდ გადაწყდა — 3:1.

ახლა დონეცკის „შახტიორმა“ თბილისის „დინამოსთან“ შედარებით კიდევ უფრო გაიუმჯობესა მდგომარეობა, ჩვენი გუნდის პერსპექტივები კი კვლავ ბურუსითაა მოსილი. წინაა უძნელესი მატჩები დნეპროპეტროვსკის „დნეპრთან“ და მოსკოვის „დინამოსთან“. პრობლემა აქაც უამრავია, მარტო ერთი ტაიმის მოგება არაფერს ნიშნავს, ბრძოლა საჭიროა მთელი 90 წუთის მანძილზე, ბრძოლა დაუღალავი, შეუსვენებელი. თითოეულ დინამოელს, კვლავ და კვლავ ვიმეორებთ, კარგად უნდა ახსოვდეს, რომ უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის უშელავათო თამაში საჭიროა სწორედ ახლა, ვინაიდან ჩემპიონატის ფინიშზე სიძნელეები კიდევ უფრო მოიმატებს. ამ სიძნელეებს კი ჩვენი გუნდი სრულ მზადყოფნაში უნდა შეხვდეს.

**„ლელოს“ ფეხბურთის განყოფილება.**

### გათამაშების ცხრილი

**ძირითადი შემადგენლობა ⊙ მდგომარეობა 11 აგვისტოსთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 19 | 10 | 8 | 1 | 27-12 | 28 |
| 2. „დინამო“ (კიევი) | 17 | 11 | 5 | 1 | 27-8 | 27 |
| 3. „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 18 | 8 | 7 | 3 | 24-15 | 23 |
| 4. „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 18 | 8 | 6 | 4 | 28-22 | 22 |
| 5. „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) | 18 | 7 | 7 | 4 | 24-20 | 21 |
| 6. „ტორპედო“ (მოსკოვი) | 17 | 7 | 6 | 4 | 20-17 | 20 |
| 7. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 17 | 6 | 6 | 5 | 20-17 | 18 |
| 8. „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 18 | 7 | 3 | 8 | 14-19 | 17 |
| 9. „არარატი“ (ერევანი) | 18 | 6 | 5 | 7 | 12-17 | 17 |
| 10. „მეტალისტი“ (ხარკოვი) | 19 | 5 | 7 | 7 | 19-24 | 17 |
| 11. „შახტიორი“ (დონეცკი) | 17 | 5 | 5 | 7 | 16-17 | 15 |
| 12. „დინამო“ (მოსკოვი) | 19 | 5 | 5 | 9 | 19-25 | 15 |
| 13. „დინამო“ (მინსკი) | 18 | 4 | 7 | 7 | 17-20 | 15 |
| 14. „დინამო“ (თბილისი) | 17 | 6 | 0 | 11 | 20-27 | 12 |
| 15. „ნეფთჩი“ (ბაქო) | 18 | 4 | 3 | 11 | 18-29 | 11 |
| 16. „კაირატი“ (ალმა-ათა) | 18 | 3 | 2 | 13 | 14-30 | 8 |

## საქართველოს პირველობა

13 და 14 აგვისტოს გაიმართება საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის XXIII ტურის მატჩები. გთავაზობთ XXIII ტურის განრიგს. **13 აგვისტო (შაბათი).** „სულორი“ (ვანი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა), „კოლხეთი“ (ხობი) — „მეშახტე“ (ტყიბული), „დინამო“ (გაგრა) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი), „სქური“ (წალენჯიხა) — „ბახტრიონი“ (ახმეტა), „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „დურუჯი“ (ყვარელი), „მადნეული“ (ბოლნისი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი). **14 აგვისტო (კვირა).** „ამირანი“ (ოჩამჩირე) — „არმაზი“ (მცხეთა), „ეგრისი“ (ცხაკაია) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ), „შადრევანი“ (წყალტუბო) — „ქართლი“ (გორის რ-ნი), „დინამო“ (ზუგდიდი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა), ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ივერია“ (ხაშური).

### I ჯგუფი

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 11 აგვისტოსთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სულორი“ | 22 | 16 | 5 | 1 | 35-10 | 37 |
| „კოლხეთი“ | 22 | 15 | 4 | 3 | 51-28 | 34 |
| „დინამო“ ზ. | 22 | 11 | 10 | 1 | 45-20 | 32 |
| „ამირანი“ | 22 | 11 | 4 | 7 | 36-21 | 26 |
| „შადრევანი“ | 22 | 10 | 6 | 6 | 34-21 | 26 |
| „მადნეული“ | 22 | 9 | 7 | 6 | 38-34 | 25 |
| „სამეგრ.“ | 21 | 11 | 1 | 9 | 32-31 | 23 |
| „დინამო“ გ. | 22 | 10 | 3 | 9 | 28-25 | 23 |
| „საპოვნელა“ | 22 | 8 | 6 | 8 | 31-26 | 22 |
| „მეშახტე“ | 22 | 8 | 6 | 8 | 19-25 | 22 |
| „დურუჯი“ | 21 | 7 | 8 | 6 | 25-26 | 22 |
| „მაღარ.“ | 22 | 8 | 4 | 10 | 29-33 | 20 |
| „მეტალურ.“ | 21 | 8 | 3 | 10 | 38-34 | 19 |
| „სპარტაკი“ | 22 | 7 | 4 | 11 | 35-38 | 18 |
| „სალხინო“ | 22 | 7 | 4 | 11 | 30-39 | 18 |
| „ივერია“ | 22 | 6 | 6 | 10 | 23-36 | 18 |
| „ბახტრიონი“ | 21 | 6 | 5 | 10 | 24-34 | 17 |
| „ქართლი“ | 22 | 6 | 5 | 11 | 24-37 | 17 |
| „ეგრისი“ | 22 | 5 | 6 | 11 | 21-38 | 16 |
| „სქური“ | 22 | 5 | 4 | 13 | 25-39 | 14 |
| „არმაზი“ | 22 | 4 | 6 | 12 | 26-38 | 14 |
| ფიზკ. ინსტ. | 18 | 3 | 7 | 8 | 23-31 | 13 |

### მსაჯთა რეესტრი
### (XXIII ტური, 13-14 აგვისტო)

„სულორი“ (ვანი)—„მაღაროელი“ (ჭიათურა). **ი. კანდელაკი, თ. სადილიანი, ი. შალამბერიძე** (თბილისი). „კოლხეთი“ (ხობი) — „მეშახტე“ (ტყიბული). **ვ. მიმინოშვილი, დ. მენთეშაშვილი, ტ. ნიშნიანიძე** (თბილისი). „დინამო“ (გაგრა) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი). **ე. ხილაგავა, რ. ტალიაშვილი** (თბილისი), **ი. კვირკველია** (ჩხოროწყუ). „სქური“ (წალენჯიხა) — „ბახტრიონი“ (ახმეტა). **მ. ჭელიძე** (თბილისი), **მ. გარნოვსკი, ა. ჯულაყიძე** (სამტრედია). „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „დურუჯი“ (ყვარელი). **მ. კობიაშვილი** (თბილისი), **ა. ჟუჟუნაშვილი** (მცხეთა), **რ. კახიანი** (სამტრედია). „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „მადნეული“ (ბოლნისი). **ა. მანუკიანი, კ. ალიევი, თ. სოფრომაძე** (თბილისი). „ამირანი“ (ოჩამჩირე) — „არმაზი“ (მცხეთა). **რ. ტალიაშვილი, ე. ხილაგავა** (თბილისი), **ი. კვირკველია** (ჩხოროწყუ). „ეგრისი“ (ცხაკაია) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ). **მ. ჭელიძე** (თბილისი), **მ. გარნოვსკი, ა. ჯულაყიძე** (სამტრედია). „შადრევანი“ (წყალტუბო) — „ქართლი“ (გორის რ-ნი). **თ. სადილიანი, ი. კანდელაკი, ი. შალამბერიძე** (თბილისი). „დინამო“ (ზუგდიდი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა). **ტ. ნიშნიანიძე, დ. მენთეშაშვილი** (თბილისი), **ა. ჟუჟუნაშვილი** (მცხეთა). ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ივერია“ (ხაშური). **კ. ალიევი, ა. მანუკიანი, ლ. ჩიტაია** (თბილისი).

### საქართველოს თასზე

N2

**დღეს,** 11 აგვისტოს, გაიმართება საქართველოს საფეხბურთო თასის მერვედფინალური შეხვედრები პირველ, მეორე და მესამე ჯგუფების გუნდებს შორის.

ამ ეტაპზე გუნდები ასე დაწყვილდნენ: „სქური“ (წალენჯიხა) — „მადნეული“ (ბოლნისი), „მეტალისტი“ (რუსთავი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი), „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „მზიური“ (გალი), „ეგრისი“ (ცხაკაია) — „კახეთი“ (თელავი), ხდკ (სამტრედია) — „შადრევანი“ (წყალტუბო).

17 აგვისტოს მეოთხედფინალურ შეხვედრაში ზუგდიდის „დინამო“ ხობის „კოლხეთს“ უმასპინძლებს. ამ დღესვე გაიმართება სხვა წყვილთა მეოთხედფინალებიც. საქართველოს თასის ორივე ნახევარფინალურ შეხვედრას 24 აგვისტოს თბილისი უმასპინძლებს.

ფინალური მატჩი რესპუბლიკის თასზე თბილისში 31 აგვისტოს გაიმართება.

### ფეხბურთის რესპუბლიკურ ფედერაციაში

**საქართველოს** სსრ ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისიის 20 ივლისის გადაწყვეტილებით, გეგეჭკორის სტადიონზე 18 ივლისს ოჩამჩირის „ამირანთან“ შეხვედრის შემდეგ მომხდარი უწესრიგობის გამო, გეგეჭკორის „სალხინოს“ სტადიონს 5 კალენდარული თამაშით მიეცა დისკვალიფიკაცია. „სალხინომ“ ერთი კალენდარული თამაში უკვე ჩაატარა აბაშის სტადიონზე. 13 აგვისტოს ყვარლის „დურუჯთან“, 27 აგვისტოს ზუგდიდის „დინამოსთან“, 11 სექტემბერს თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტთან, 24 სექტემბერს კი ჭიათურის „მაღაროელთან“ გეგეჭკორის „სალხინოს“ ფეხბურთელთა გუნდი გამართავს წყალტუბოს სტადიონზე.

# „ექცევნება მანდელას“

**1988 წლის** ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი, ამჟამად იტალიის კლუბ „მილანში“ მოთამაშე ჰოლანდიელი ნახევარმცველი რუდ გულიტი, სამართლიანად ითვლება თანამედროვე ფეხბურთის ბოლო წლების გამოჩენილ მოთამაშედ.

ცნობილი ფრანგული ჟურნალის „ფრანს ფუტბოლის“ მიერ დაწესებული პრესტიჟული ჯილდოს „ოქროს ბურთის“ მფლობელი 1987 წელს სწორედ რუდ გულიტი გახდა. ჟიური 26 ეროვნების ჟურნალისტისგან შედგებოდა, რ. გულიტმა ხმების უმრავლესობა დააგროვა. 106 ჟურნალისტმა იგი ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნია.

„ამ ჯილდოს ვუძღვნი ნელსონ მანდელას, პიროვნებას, რომელიც ბევრს იღვწოდა ადამიანთა უფლებების დასაცავად“. ჟიურის გადაწყვეტილების გამოცხადებისთანავე წარმოთქმულმა ამ სიტყვებმა ნათლად გამოავლინა რ. გულიტის მოქალაქეობრივი პოზიცია და ყველას დაანახა, რომ ეს გრძელნაწნავებიანი ჰოლანდიელი განსაკუთრებული ფეხბურთელია და კეთილშობილი პიროვნება.

ბუნებრივი ნიჭით უხვად დაჯილდოვებული, დიდი პროფესიონალი ფეხბურთისთვის ცხოვრობს, მაგრამ როგორც იტალიური გაზეთი „უნიტა“ წერს, მას „ბურთის თავი როდი აქვს“.

ნელსონ მანდელა სამხრეთ აფრიკის რასისტული რეჟიმის ზანგთა ოპოზიციის ლიდერია. სწორედ მას უძღვნა რ. გულიტმა თავისი ჯილდო, ამიტომაც ითვლება იგი არა მარტო დიდ ფეხბურთელად, არამედ პროგრესულ პიროვნებადაც. ინტერესების ფართო ჰორიზონტი მის მრავალმხრივობაზე მეტყველებს. ფეხბურთი, მუსიკა, კომერციული და საზოგადოებრივი საქმიანობა — აი, მისი ვრცელი ინტერესების არასრული სია.

აღსანიშნავია ერთი პატარა ეპიზოდი. ევროპის ჩემპიონატის დროს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გასტროლებზე იმყოფებოდა აშშ-ს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მომღერალი, 1987 წლის „გრემის“ მფლობელი ვითნი ჰიუსტონი, რომლის ერთ-ერთ კონცერტს ჩემპიონატის ფინალის წინ ჰოლანდიის ნაკრებიც დაესწრო. მრავალრიცხოვან თაყვანისმცემელთა გასაოცრად, რუდ გულიტი სცენაზე ავიდა და გიტარის თანხლებით რამდენიმე სიმღერა შეასრულა. უნდა აღინიშნოს, რომ რ. გულიტს მეტი მოწონება ხვდა წილად, ვიდრე ახალგაზრდა ამერიკელ „ვარსკვლავს“.



**ევროპის ჩემპიონატის მატჩი: გფრ — ჰოლანდია; უკანა პლანზეა გულიტი.**

რ. გულიტი საკმაოდ კარგად ასრულებს „რეგის“, რთულ საცეკვაო ნაწარმოებს, ამავე დროს იგი სავაჭრო სააგენტოს მეთაურიცაა, მაგრამ მარტოოდენ პირად კეთილდღეობაზე როდი ზრუნავს. იგი ძალიან მგრძნობიარეა ნებისმიერი სოციალური პრობლემის მიმართ.

მოგვიანებით თავის ჯილდოზე საუბრისას რ. გულიტმა თქვა: „მე უფრო ბედნიერი ვარ როგორც ჰოლანდიელი, ვიდრე როგორც იტალიის კლუბში მოთამაშე. ჩემი აზრით, ჯილდო „ეინდჰოვენსა“ და ჰოლანდიის ეროვნულ ნაკრებში თამაშისთვის დავიმსახურე. „მილანში“ ძალიან დავალებული ვარ ჩემი ახლანდელი გუნდისა და ამხანაგებისგან, მიმაჩნია, რომ მართალი იყო არიგო საკი, ჩემი მწვრთნელი. ჯერ კიდევ შემიძლია თამაშის დახვეწა, გაუმჯობესება. ვამაყობ, რომ მომანიჭეს ის ჯილდო, რომელსაც წარსულში მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ი. კრუიფი ფლობდა.

რ. გულიტს ჰყავს მეუღლე ჯოენი და ორი შვილი. მან სულ რამდენიმე თვეში დაიპყრო მილანელი გულშემატკივრების გული, იგი განსაკუთრებით უყვართ არაჩვეულებრივი უნარის გამო — შეიტანოს ნებისმიერ სიტუაციაში თავისი განუმეორებელი პიროვნული მე.

რ. გულიტი მუდამ იღიმება და არასოდეს არაფერს აპროტესტებს. მოწინააღმდეგენი უხეშობენ, გულიტი კი ამაზე ხმას არ იღებს, იგი თბილი და ყურადღებიანია, ასობით ავტოგრაფს იძლევა, პასუხობს ჟურნალისტთა გაუთავებელ შეკითხვებს. ბევრი უცხოელისგან განსხვავებით, რომლებიც სამი წლის შემდეგაც სიტყვას ვერ ძრავენ იტალიურად, გულიტს უკვე ესმის იმ ქვეყნის ენა, სადაც სულ ცოტა ხანია ცხოვრობს, ხოლო სამშობლოში დაბრუნებისას, იტალიაზე მხოლოდ კარგს ამბობს, რაც ძალზე იშვიათია.

რუდ გულიტისგან უფრო პროდუქციულ, შედეგიან თამაშს მოითხოვენ, ჯერჯერობით ეს მისი ერთადერთი პრობლემაა. „მსიამოვნებს, როცა ჩემი გუნდი კარგად თამაშობს. თუ ცუდად ვითამაშე, მოწყენილი და აღრენილი ვჭრ, თუნდაც სამი გოლი გავიტანოთ და მოვიგოთ“. ასეთია რუდ გულიტი — ფეხბურთის ისეთი დიდი ოსტატი, როგორც პლატინი და მარადონაა, ჰოლანდიელი, რომელიც იტალიაშიც ბრწყინვალედ თამაშობს“.

**„უნიტა“.**

**იტალიურიდან თარგმნა თბილისის მე-60 საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე ირინე კობიაშვილმა.**

# სეულის ოლიმპიური თამაშების წინ

**ზაფხულის** ოლიმპიური თამაშების დედაქალაქ სეულში საგანგებოდ აგებენ „მშვიდობის კარიბჭეს". იგი ერთიანად სამშენებლო ხარაჩოებითაა შემოსილი, მთავარი ოლიმპიური სტადიონის სარბენი ბილიკებიც ჯერ კიდევ კირითაა მოთხვრილი, მაგრამ წინასაოლიმპიადო საქმიანობა 10-მილიონიან ქალაქში დუღს და გადმოდუღს. სეულის ტაქსის შოფერები დაავალდებულეს დღეში თითო მოკლე ინგლისური ფრაზა შეისწავლონ, 1.780 საწოლი მზადდება საგანგებოდ იმ სპორტსმენებისთვის, ვინც არასტანდარტული, დიდი ტანისაა.

ქალაქი გაცხოველებით ემზადება. სამხრეთ კორეის მოსახლეობისთვის ეს თამაშები მარტოოდენ სპორტული ზეიმი როდია, ქვეყანას საშუალება ეძლევა აამაღლოს თავისი საერთაშორისო პრესტიჟი, თავი დააღწიოს ხანგრძლივი პოლიტიკური იზოლაციის მარწუხებს, კონტაქტები დაამყაროს სხვადასხვა სახელმწიფოსთან, ამიტომაც აქ ასე მონდომებით, ასე ენერგიულად საქმიანობენ.

დიდი მუშაობაა გაჩაღებული ოლიმპიური პარკის მიდამოებში, ქალაქის მაღაზიები და კიოსკები სავსეა სუვენირებით, განსაკუთრებით მოთხოვნაა ვეფხვის ბოკვერ ჰოდორის სიმპათიურ გამოსახულებაზე. მას ნახავთ ყველგან — დახატულსაც, ფიტულების სახითაც, ქაღალდისა და პაპიე-მაშეს ვეფხვები მთელს ქალაქშია მოფენილი. ეს მომავალი თამაშების სიმბოლური თილისმაა.

ოლიმპიური პარკის შუაგულში აღმართულია ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის შტაბ-ბინა, კომიტეტის წევრები ყოველდღე ისმენენ ბი-ბი-სის კურსს — „ინგლისური ენა ოლიმპიადისთვის", 2000-წლიანი ქალაქი ირეცხება და სუფთავდება, ელიან უამრავ ტურისტს, უკვე დაახლოებით 213 მილიონი დოლარი დაიხარჯა დაბინძურებული მდინარე ხანგანის გასაწმენდად. მთავარ ქუჩებზე ჩამოკიდებულია ტრადიციული კორეული ჭრელ-ჭრელი ფარნები. სეულის მოსახლეობა კმაყოფილებით შეხვდა ცნობას იმის თაობაზე, რომ ადგილობრივ ხელისუფალთა განკარგულებით ყველა ფაბრიკა და ქარხანა, რომელიც კი ახლოს მდებარეობს შეჯიბრებათა ადგილებიდან, შეწყვეტს ან შეზღუდავს მუშაობას თამაშების დღეებში, რათა სპორტსმენებს სუფთა ჰაერით სუნთქვის საშუალება ჰქონდეთ.

როგორც იტყობინებიან, თვით სეულისა და მისი გარეუბნების სასტუმროების 29.400 ნომრიდან ვაკანტური მხოლოდ 900 დაიტოვეს ოლიმპიადის დღეებისთვის, გარდა ამისა, ქალაქის გამგებლები ამოწმებენ იმ საერთო საცხოვრებლებისა და კერძო ბინების სანიტარულ-საყოფაცხოვრებო პირობებს, რომელთაც გამოიყენებენ სტუმართათვის. დაახლოებით 1000 ბინა აშენდა სპეციალურად სპორტსმენების და პრესის წარმომადგენლებისთვის, თამაშების დამთავრების შემდეგ კი ეს ბინები გაიყიდება საერთო წესით.

სეულში დიდი გულმოდგინებით ემზადებიან ჩოგბურთელთა ტურნირისთვის. აშენებენ საგანგებო დახურულ კორტებს იმ შემთხვევისთვის, თუ ამინდმა ხელი შეუშალა ღია მოედნებზე თამაშს. ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენლები ბ. ვანკე და დ. ჯერეტი სულ ახლახან საინსპექციო შემოწმების მისიით იმყოფებოდნენ სეულში, ისინი კმაყოფილი არიან აქაური ბაზების მდგომარეობით.

საერთოდ, ჩოგბურთელთა შეჯიბრებები გამორჩეულ ინტერესს იწვევს, ბილეთებზე უკვე ახლა დიდი გაჭირვებაა, ჩოგბურთელთა ტურნირის ტელეტრანსლაციისთვის დაამზადეს ვეება ფორმატის სატელევიზიო მონიტორები, რომლებსაც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე დადგამენ.

თითქმის ორი წელია აშენებენ ოლიმპიურ სოფელს და როგორც ჟურნალი „სეული" იტყობინება, სპორტსმენთა მისაღებად ყველაფერი მზადაა. ეს სოფელი ოლიმპიური პარკის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს, იგი ორადაა გაყოფილი; ერთი — სპორტსმენთათვის, მწვრთნელებისა და ოფიციალური პირებისთვის, მეორე კი — ჟურნალისტებისთვის.

თამაშების ორგანიზატორები იუწყებიან, რომ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების 800-ზე მეტმა წარმომადგენელმა დაათვალიერა ოლიმპიური სოფელი და ჯერ არც ერთ მათგანს შენიშვნა არ გამოუთქვამს.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენელმა რაიმონ გაფნერმა (შვეიცარია) განაცხადა, რომ ოლიმპიადა-88-ის საორგანიზაციო კომიტეტი სეულში ბოლო წუთამდე ღია ექნება კარი იმ 6 ქვეყნის წარმომადგენელთათვის, რომლებმაც უარი განაცხადეს თამაშებში მონაწილეობაზე. ეს ქვეყნებია: კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, კუბა, ნიკარაგუა, სეიშელის კუნძულები, ალბანეთი და ეთიოპია.

ოლიმპიურ თამაშებზე, როგორც წესი, დიდი პოპულარობით სარგებლობს სამახსოვრო ნიშნები. სეულში ორი დიდი ცენტრი მოეწყო ოლიმპიური ნიშნების გაცვლისთვის, აქ სპეციალური სტენდები და სტელაჟები მოაწყეს, სადაც გასაცვლელ ეგზემპლარებს გამოფენენ.

სეულის ოლიმპიადის ორგანიზატორები ბევრს ზრუნავენ ჰაერის სისუფთავისთვის, ამიტომაც ოლიმპიურ სოფელში ავტობუსების რაოდენობა მინიმუმამდე შემცირდება, მათ ნაცვლად სპორტსმენთათვის უფასოდ გამოჰყოფენ უამრავ ველოსიპედს.



## ბალახი სტადიონისთვის...

**მოსკოვის** ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე დასრულდა მთავარი საფეხბურთო მინდვრის რეკონსტრუქცია. ახლა აქ ე. წ. ელიტარული, საგანგებო ჯიშის ბალახი ამოდის, რომლის თესლი სტადიონის დირექციამ შვეციაში შეიძინა ფირმა „ფესბალისგან". გარდა ამისა, მოსკოვის მახლობლად 15 ჰექტარ მიწაზე მოეწყო მეურნეობა, სადაც ამ ელიტარული ბალახით დაფარული რამდენიმე ფეხბურთის მინდორია გამართული.

უკვე 30 წელია, რაც ლუჟნიკის მთავარი საფეხბურთო მინდვრის საფარი არ განახლებულა, აქ კი ფეხბურთის გარდა მრავალგზის ჩატარებულა სხვადასხვაგვარი დიდი სპორტულ-მასობრივი ღონისძიებანი. აქაური მინდორი განსაკუთრებით მაშინ დაზიანდა, როცა სტადიონზე კეთილი ნების თამაშების გახსნისა და დახურვის გრანდიოზული დღესასწაული, აგრეთვე, სსრ კავშირისა და ინდოეთის ფესტივალი მოეწყო. მაშინ სათამაშო გაზონზე მრავალტონიანი სხვადასხვაგვარი ლითონის კონსტრუქციები იდგა.

ლუჟნიკის საფეხბურთო მინდორი მარტის დასაწყისში დაკეტეს და მაშინვე დაიწყეს მინდვრის გაფხვიერება. ასეთი სამუშაოები აუცილებლად დამზრალ ნიადაგზე ტარდება, რეკონსტრუქცია მიმდინარეობდა შეუწყვეტლად, სპეციალურმა სახელმწიფო კომისიამ აღნიშნა სათამაშო მინდვრის ზედაპირის უმაღლესი ხარისხი.

მინდვრის განახლების პროექტი შეადგინა სრიუზსპორტპროექტის ინსტიტუტმა, პირველად ჩვენს პრაქტიკაში განხორციელდა მინდვრის აერაციის ახალი მეთოდი. ნიადაგში დამონტაჟებულია სპეციალური პერფორირებული მილები, რომლებიც ბალახის ფესვს ამდიდრებს ჟანგბადით და ეფექტურ დრენაჟსაც უზრუნველყოფს.

მთავარი საფეხბურთო მინდორი უკვე მზადაა. ბალახის საფარი საიმედოა, მაგრამ აგროტექნიკური თვალსაზრისით იგი ჯერ კიდევ არაა გამაგრებული. როგორც ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის მთავარი ინჟინერი მ. ელკინი ამბობს, ყველაფერი უნდა გაკეთდეს საიმისოდ, რომ მინდორმა რაც შეიძლება დიდ ხანს გაუძლოს ექსპლუატაციას.

## მალაიზიასა და სინგაპურში

მალაიზიასა და სინგაპურში დაიწყო კალათბურთელ ქალთა ოლიმპიური შესარჩევი ტურნირი. ასპარეზობა მალაზიელთათვის თავისებური გენერალური რეპეტიციაც არის მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატის წინ, რომლის ჩატარებაც ამ ქვეყანაშია განზრახული.

შესარჩევ ციკლში მონაწილე 24 გუნდი ოთხ ჯგუფადაა დაყოფილი. მომდევნო ეტაპზე ასპარეზობას განაგრძობენ ჯგუფში პირველ-მეორე ადგილზე გასული გუნდები. ექვსი უძლიერესი კი ოლიმპიურ საგზურს დაეუფლება. I ჯგუფი: სსრ კავშირი, ბრაზილია, ჩინეთი, ესპანეთი, ანგოლა, ტაივანი; II ჯგუფი: იუგოსლავია, ბულგარეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ზაირი, ტაილანდი; III ჯგუფი: კანადა, იტალია, იაპონია, შვეცია, ირლანდია, ჩეხოსლოვაკია. IV ჯგუფი: ავსტრალია, უნგრეთი, პოლონეთი, ახალი ზელანდია, მალაიზია, თურქეთი.

უძლიერესად ყველა პირველ ჯგუფს ასახელებს, სადაც სამი ფავორიტია: საბჭოთა კავშირი, ბრაზილია, ჩინეთი. ვინ იქნება მათ შორის მესამე „ზედმეტი" ამის თქმა ძალზე ძნელია. ყველაფერი, ალბათ, ფავორიტთა ურთიერთ შეხვედრაში გაირკვევა.

მეორე ჯგუფში გამოკვეთილი ლიდერები იუგოსლავიის და ბულგარეთის ნაკრებებია. მესამე ჯგუფში ფავორიტებად ასახელებენ კანადის და ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს, რომლებმაც მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატზე მოსკოვში 1986 წელს შესაბამისად მესამე და მეოთხე ადგილები დაიკავეს. მეოთხე ჯგუფში ყველაზე უფრო მტკიცე უნგრელებისა და პოლონელების პოზიციები ჩანს, თუმცა როგორც წესი, ასეთი ფართო მასშტაბის ტურნირში არც სიურპრიზებია გამორიცხული. ვნახოთ, რა მოულოდნელობებს შემოგვთავაზებს შესარჩევი ტურნირი.

**საქ. ინფ.**



იუგოსლავიის კალათბურთელთა ნაკრები სეულის ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი მთავარი ფავორიტია.

მართალია, 1980 წელს მოსკოვის ოლიმპიადაზე ტრიუმფალური გამარჯვების შემდეგ იუგოსლავიელებმა თანდათან დათმეს პოზიციები, რასაც ობიექტური მიზეზები ჰქონდა, გუნდში დაიწყო თაობათა ცვლის მტკივნეული პროცესი, ნელ-ნელა დატოვეს სარბიელი კორიფეებმა კრეშიმირ ჩოსიჩმა და ზორან სლავნიჩმა, დრაგან კიჩანოვიჩმა და მირზა დელიბაშიჩმა. ნაკრებში უკვე აღარ გამოდის სახელგანთქმული დრაჟენ დალიპაგიჩი. ასეთი ტალანტები, ცხადია, ყოველ წელს როდი იბადებიან, მაგრამ როგორც ჩანს, იუგოსლავია ახალგაზრდა ნიჭიერი კალთბურთელებით ღარიბი არაა. ეს დადასტურდა სულ ახლახან ჰოლანდიაში დასრულებულ ოლიმპიურ შესარჩევ ტურნირზე.

## იუგოსლაველები მოძლავრდნენ

იუგოსლავიელებმა პირველი სერიოზული სიტყვა 1987 წელს თქვეს, როდესაც დამაჯერებლად მოუგეს ამერიკელებს ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს III ჩემპიონატზე და იუგოსლავიის კალათბურთის ისტორიაში პირველად მოიპოვეს მსოფლიოს ჩემპიონის სახელი. მათი თავდამსხმელი ტონი კუკოჩი ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ სცნეს. კუკოჩთან ერთად ნაკრების თამაშს ტონს აძლევდნენ დინო რაჯა (ორივე — „იუგოპლასტიკას" შემადგენლობაში თამაშობს) და ვლადო დივაჩი. სხვათა შორის, ნაკრების მაშინდელმა მწვრთნელმა ჩოსიჩმა ისინი უყოყმანოდ მიიწვია ნაკრებში 1987 წლის ევროპის ჩემპიონატზე (დივაჩის დებიუტი ცოტა უფრო ადრე შედგა — 1986 წელს ესპანეთის მსოფლიო X ჩემპიონატზე). ჩოსიჩს ამის გამო ზოგჯერ პრესაში აკრიტიკებდნენ კიდეც, მაგრამ მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ კარგად დაგვანახა თუ რაოდენ შორსმჭვრეტელი იყო მწვრთნელი. არ იყო ვეტერანებისადმი უნდობლობა ჩოსიჩს რომ მიაწერდნენ. მან ძალიან კარგად იცოდა დალიპაგიჩის და რადოვანოვიჩის შესაძლებლობები, მაგრამ, ალბათ, ისიც ესმოდა, რომ იუგოსლავიის კალათბურთის ხვალინდელი დღე დალიპაგიჩი და რადოვანოვიჩი არაა და ამიტომ რისკიც გამართლებულად ეჩვენებოდა.

„იუგოპლასტიკას" წევრ ტონი კუკოჩის მთავარი ღირსება უნივერსალიზმია. ამ 206 სმ კალათბურთელს თანაბარი ძალით შეუძლია ითამაშოს შემტევი მცველის, თავდამსხმელის და დამხმარე ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციაზე. კუკოჩი ჩინებული სნაიპერი და დრიბლიორია.

იუგოსლავიის ნაკრების სათამაშო ხელწერას ბრწყინვალე სნაიპერები განაპირობებენ. ასე იყო 60-იან და 70-იან წლებში, ასეა დღესაც. მას ჩინებული სნაიპერების დიდი ჯგუფი ჰყავს: დრაჟენ პეტროვიჩი, დანკო ცვეტიჩანინი, ზორან ჩუტურა, ჟარკო პასპალი, ზორან რადოვიჩი, ტონი კუკოჩი. უკანასკნელ წლებში შესამჩნევად დაწინაურდა ბელგრადის „პარტიზანის" თავდამსხმელი ჟარკო პასპალი, რომლის დებიუტი ნაკრებში შედგა 1987 წელს ათენის ევროპის ჩემპიონატზე. ნიჭიერი იუგოსლაველი კალათბურთელების სწრაფი დაწინაურების ერთ-ერთი საუკეთესო სკოლას წარმოადგენს პოპულარულ ევროპულ თასებში მონაწილეობა.

ცენტრები ტრადიციულად იუგოსლავიის ნაკრების სუსტი ადგილი იყო (ჩოსიჩი ამ მხრივ ბედნიერი გამონაკლისია). მიმომხილველთა აზრით, ნაკრებში უკვე გამოჩნდა ნიჭიერი მძლავრი ცენტრები და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უახლოეს მომავალში იუგოსლავიელებს ეს პრობლემა მოეხსნებათ. აქ, პირველ ყოვლისა, ცხადია, უნდა მოვიხსენიოთ, „პარტიზანის" ცენტრალური თავდამსხმელი ვლადო დივაჩი (212 სმ). მისი სწრაფი პროგრესი ბოლო ორი წლის მანძილზე აღარავის აეჭვებს. საბჭოთა კავშირის ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელის იური სელიხოვის აზრით, „დივაჩი თავისი საკალათბურთო ნიჭით არაფრით ჩამოუვარდება არვიდას საბონისს". მეორე ცენტრალური თავდამსხმელი სტოიან გრანკოვიჩი (211) ძალიან წააგავს სახელმოხვეჭილ ჩოსიჩს. „ბოსტონ სელტიქსში" სტაჟირება, უთუოდ, შეუწყობს ხელს მისი სათამაშო კლასის ამაღლებას. მკვეთრად ამაღლდა დინო რაჯასა (212) და ფრანიო არაპოევიჩის (215) კლასი. სხვათა შორის, იგი ერთი წლის მანძილზე სტაჟირებას გადიოდა პროფესიულ კლუბ „ატლანტა ჰოუქსში".

ერთი სიტყვით, იუგოსლავიის ნაკრებმა ძალა მოიკრიბა და კვლავ აღმავლობის გზაზეა. იგი ნებისმიერი მოწინააღმდეგისათვის მრისხანე მეტოქე იქნება.

**მერაბ კალანდაძე.**

## კატრინ დორიე მარჩიელობს

**ვისაც** სურს მოიგოს ქალთა მარათონი სეულში, 2 საათსა და 23 წუთზე უარესი შედეგი არ უნდა აჩვენოს. ასეთი პროგნოზი გამოთქვა გდრ-ის გაზეთ „დოიჩეს შპორტეხოში" ცნობილმა სპორტსმენმა კატრინ დორიემ, რომელმაც წლეულს ევროპის თასი მოიგო მარათონში.

მძლეოსნის აზრით, სეულის მარათონის ტრასის პროფილი ძნელად ვერ ჩაითვლება. მართალია, თვლის იგი, შეიძლება უსიამოვნება მოგაყენოს ქარმა, იგი მდინარიდან თავისუფლად იჭრება ტრასაზე. „გამარჯვებულის შედეგს, — განაცხადა დორიემ, — გაარკვევს შემდეგი ფაქტორები: ამინდი, კონკურენცია მარათონის მონაწილეთა შორის და მათი რბენის ტაქტიკა".

კატრინ დორიეს გდრ-ის უმაღლესი მიღწევა ეკუთვნის მარათონში ქალთა შორის — 2:25.24. იგი ლაიფციგის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტია. ადრე კატრინი საშუალო დისტანციებზე გამოდიოდა, 7 წლის წინ კი მარათონში სცადა ძალა.

## ცისფერ ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია. 11 აგვისტო.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; რიტმული ტანვარჯიში — **20.30 (2)**; ვ. სავინის ხსოვნისადმი მიძღვნილი ფრენბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი: იაპონია (ნაკრები) — სსრ კავშირი (ნაკრები). გადაცემა რიგიდან — **23.55 (2)**.

**12 აგვისტო.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; ცხენოსანთა საკავშირო შეჯიბრება (გადაცემა მოსკოვიდან) — **21.15 (2)**.

## „სპორტპროგნოზი"

**32-ე ტირაჟის შედეგები.**

**(6 აგვისტო)**

1—1, 2—1, 3—1, 4—1, 5—1, 6—2, 7—1, 8—1, 9—1, 10—1, 11—2, 12—1, 13—1.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

**რედაქტორი**

**თ. ბაჩეჩილაძე.**

## შაბათს, ჭადრაკის სასახლეში

**ჭადრაკის რესპუბლიკური სასახლე** 13 აგვისტოს 12 საათზე გიწვევთ ფიზკულტურელის საკავშირო დღისადმი მიძღვნილ ელვისებურ საჭადრაკო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად. გამარჯვებულებს გადაეცემათ ფასიანი საჩუქრები.

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",**

**რედაქციის ტელეფონები:**
**წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, „მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05499